# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N29/ს

ქ. მცხეთა

7 აგვისტო 2013 წელი

**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის N466 განკარგულების** თანახმად ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარი ქამიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბათო+", მისი დირექტორის კ. ჩილინდრიშვილის სახით, შემდგომში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1. სოფ. ერედაში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა-თანხით 100 (ასი) ლარი. (CPV71200000).
2. სოფ. ზაქაროში სანიაღვრე არხის მოწყობის საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.)-თანხით 505 (ხუთას ხუთი) ლარი.(CPV71200000)
3. სოფ. გალავანში სოფლის შიდა საუბნო გზების მოწყრიგება, მოხრეშვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა-273 ლარი. (CPV71200000)
4. სოფ. კოტორაანთკარში არსებული წყლის სათავე ნაგებობის კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა-114 ლარი. (CPV71200000)
5. წოდორეთში სასმელი წყლის მილების შეცვლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა-95 ლარი. CPV71200000)
6. სოფ. ლელუბანში სასმელი წყლის სათავის მოწესრიგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა-48 ლარი( CPV71200000).

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1135 (ერთი ათას ასოცდათხუთმეტი ) ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 შეასრულოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში;

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული სამუშაოს აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი მომსახურეობის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზურაბ აბესაძე და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი გოგი აბუაშვილი.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| მცხეთის მუნიციპალიტეტი | შპს „ბათო+" |
| ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7 | მის: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N24ა |
| ს/კოდი: 236094196 | ს/კოდი436032776 |
| სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი | სს „ლიბერთი ბანკის" მცხეთის ფილიალი |
| ბან. კოდი: LBRTGE22 | ლიბერთი კოდი: LBRTGE22 |
| GE95LB0120130269077000 | GE29LB0113110403637 |
| მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე | დირექტორი |
| ნ. ქ[illegible]ილი | [illegible] |
| | ტელ: 579 94 11 82 |